

შპს „ენ ენ ჯგუფი“

(ს/ნ 205 177 556)

24 სექტემბერი 2025 წ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
მოგება/ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ	7
2. მომზადების საფუძველი	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4. საქმიანობის უწყვეტობა	16
5. შემოსავალი	16
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
7. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	17
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
9. მარაგები	18
10. ცვეთა და ამორტიზაცია	18
11. ძირითადი საშუალებები	19
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	20
14. სარეზერვო კაპიტალი	20
15. სესხები და კრედიტები	21
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
17. დაკავშირებული მხარეები	21
18. სოციალური პასუხისმგებლობა	21

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ. N	2024	2023
შემოსავალი საქონლის (საცხ. და არასაცხ. ფართების) რეალიზაციიდან	5	752 761	2 493 690
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	20 958	26 133
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	5	14 238 263	166 662 5
სხვა	5	0	65 000
სულ შემოსავალი		15 011 982	425 144 8
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	-12 113 235	-311 779 6
საერთო მოგება		2 898 747	113 365 2
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	571 783	172 364
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	-1 919 885	-126 215 8
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1 550 645	43 858
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	7	-372 882	-333 281
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 177 763	-289 423
მოგების გადასახადის ხარჯი		-28 212	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1 149 551	-289 423
სხვა სრული შემოსავალი / ზარალი		-2 573	0
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი		1 146 978	-289 423
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მოგება / ზარალი		1 149 551	-289 423
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მთლიანი შემოსავალი		1 146 978	-289 423
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი		1 146 978	-289 423

შპს ენენ ჯგუფის (205177556) დირექტორი

გიორგი მანჯაფარაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნანა სვანიძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ, N	2024	2023	2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	1054578	1194345	836 116
არამატერიალური აქტივები		-	-	-
მონაწილეობა სხვა საწარმოში	12	1 813 035	1 813 035	1 813 035
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	15	-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 867 613	3 007 380	2 649 151
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	7 656 651	5 187 700	3 340 013
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	25 855	163 099	241 876
გაცემული სესხები	15	2 555 000	83 000	0
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	12	2 833 286	2 065 366	2 192 549
წინასწარ გადახდილი გადასახადები	12	1 661 430	507 687	2200
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	5 165 465	9 104 468	1 305 234
სულ მიმდინარე აქტივები		19 897 687	17 111 320	7081872
სულ აქტივები		22 765 300	20 118 700	9 731 023
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		336800	336800	336800
სარეზერვო კაპიტალი (გადაფასების რეზერვი)	14	163093	176983	186801
გაუნაწილებელი მოგება		-112062	-1101746	2501048
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	14	-	-	-
დაგროვილი ზარალი		-	-	-
სულ კაპიტალი		387831	-587963	3024649
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	15	9274436	6197116	3371866
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9274436	6197116	3371866
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	15	320000	93000	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	12629001	14416547	3221837
საგადასახადო დავალიანებები	16	154032	-	112671
მიმდინარე ვალდებულებები		13103033	14509547	3334508
სულ ვალდებულებები		22377469	20706663	6706374
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22765300	20118700	9731023

შპს ენენ ჯგუფის (205177556) დირექტორი

მთ. ბუღალტერი

გიორგი
მანჯაფარაშვილი

ნანა სვანიძე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სარეზერვო კაპიტალი (მირ.საშ. გადაფასების რეზერვი)	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	746800	4591809	180632	-	5519241
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		2362942	-	-	2362942
დივიდენდები	-	-4453703	-	-	4453703
კაპიტალის შემცირება/გაზრდა	410000	-	-	-	410000
სარეზერვო კაპიტალის შემცირება/გაზრდა			6169	-	6169
დაუფარავი ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	336800	2501048	186801	-	3024649
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	336800	2501048	186801	-	3024649
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		-289423	-	-	-289423
დივიდენდები	-	-3313371	-	-	-3313371
კაპიტალის შემცირება/გაზრდა	-	-	-	-	-
სარეზერვო კაპიტალის შემცირება/გაზრდა			-9818	-	-9818
დაუფარავი ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	336 800	-1101746	176983	-	-587963
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	336 800	-1101746	176983	-	-587963
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	1149551	-	-	1149551
დივიდენდები	-	-159867	-	-	-159867
კაპიტალის შემცირება/გაზრდა	-	-	-	-	-
სარეზერვო კაპიტალის შემცირება/გაზრდა			-13890	-	-13890
დაუფარავი ზარალის გაუქმება	-	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	336 800	-112062	163093	-	387831

შპს „ენენ ჯგუფის“ დირექტორი

გიორგი მანჯაფარაშვილი

მთ. ბუღალტერი

ნანა სვანიძე



მოგება/ზარალის (გაუაწილებელი მოგების/დაუფარავი ზარალის
ანგარიშგება)

გაუნაწ. მოგება (+)/
დაუფარავი ზარალი (-)

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4591809
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	2362942
დივიდენდები	-4453703
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2501048
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2501048
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-289423
დივიდენდები	-3313371
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-1101746
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-1101746
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	1149551
დივიდენდები	-159867
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-112062

შპს „ენენ ჯგუფის“ დირექტორი



გიორგი მანჯაფარაშვილი

მთ. ბუღალტერი



ნანა სვანიძე



1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

1.1. **მშობელი საწარმო** - შ.პ.ს. „ენენ ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) (დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 08.10.2006წ. ს.ნ 205177556

კომპანიის დამფუძნებელი:

კახა ღიზრაძე პ.ნ. 01002016416 – 50 % წილის მმართველი;

ვასილ გუნიავა პ.ნ. 01009012910 – 50 % წილის მმართველი;

კომპანიის დირექტორი: გიორგი მანჯაფარაშვილი პ.ნ. 01009003439

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შ.ნუცუბიძის ქუჩა N. 75-ა

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, შ. ნუცუბიძის ქუჩა N. 75-ა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 336 800 (სამას ოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო კუთხით საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია, დემონტაჟი, სარემონტო მომსახურებები.

2024 წლის მდგომარეობით კომპანია აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვების პროექტებში, ასევე გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს იუსტიციის სახლების ფილიალების მშენებლობებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

საწარმო წარმოადგენს მესამე (III) კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება. საწარმოს გააჩნია შვილობილი საწარმო, არ გააჩნია ფილიალები და მეკავშირე საწარმოები.

1.2. **შვილობილი საწარმო** - შპს “ენენ ჯგუფის” შვილობილი საწარმოა - (2021 წლის 27 აპრილიდან) - შპს “ენ ენ კაპიტალი” (204398892), რომლის სადამფუძნებლო 100 % წილის მმართველია შპს “ენენ ჯგუფი”.

შ.პ.ს. “ენ ენ კაპიტალი” დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 06/4620; 05/06/1997წ. ს.ნ 204398892.

კომპანიის დამფუძნებელი - შპს “ენენ ჯგუფი” (205 177 556) - 100% წილი;

კომპანიის დირექტორი: გიორგი მანჯაფარაშვილი - 01009003439 ;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. 40,

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, გორგასალის ქ.40.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 (ნული) ლარს;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სამშენებლო და სარემონტო მომსახურებები.

საწარმო წარმოადგენს მესამე (III) კატეგორიის საწარმოს.

საწარმომ ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო (განაახლა ეკონ. საქმიანობა) 2021 წლის 27 აპრილიდან.

საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება. საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

წინამდებარე კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საწარმო (შპს ენენ ჯგუფი) მოყვანილ შვილობილ საწარმოსთან (შპს ენ ენ კაპიტალი) ერთად იწოდება “ჯგუფად”.

2. მომზადების საფუძველი

2.1. ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფას ს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება ასახავს საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

ჯგუფის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი, რომელიც ამ ავტომატურად წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ვალუტის ოფიც. გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ჯგუფი იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.2.2. ჯგუფის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

3.2.3. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფი მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

3.3. ძირითადი საშუალებები

3.3.1. აღიარება

ჯგუფი ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

- (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება მშენებლობაში, სამშენებლო და სარემონტო მომსახურებებში, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ჯგუფი ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) ჯგუფისთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.3.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი ძირითად საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც ჯგუფი იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

ჯგუფი ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;

3.3.4. ცვეთა

ჯგუფი იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს.

საოფისე აღჭურვილობა	15 %-20%
კომპიუტერები, მანქანა-დანადგარები	20 %
შენობა-ნაგებობა	5 %
მიწის ნაკვეთი	ცვეთა არ ერიცხება
სხვადასხვა ინვენტარი	15 %
სატრანსპორტო საშუალებები	20 %

3.3.5. გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუი ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში ჯგუფი აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს ჯგუფი ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.4. არამატერიალური აქტივები

ჯგუფს არ აქვს არამატერიალური აქტივები.

3.5. იჯარა

3.5.1. ხელშეკრულება არის საიჯარო, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

3.5.2. ჯგუფს იჯარით გაცემული აქვს დროებითი სარგებლობისთვის სამშენებლო ინვენტარი და ავტომანქანები მოიჯარეზე.

3.6. მარაგები

3.6.1. აღიარება

ჯგუფი მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) წარმოდგენილია სამშენებლო მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად წარმოების ან პროცესში მოხმარებისათვის;
- (ბ) მიწის თვითღირებულება; როდესაც მიწის რეკლასიფიკაცია ხდება საინვესტიციო ქონებიდან;
- (გ) ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;
- (დ) დაგეგმარებისა და დაპროექტების დანახარჯები, ობიექტის მომზადების ხარჯები, იურიდიული მომსახურების პროფესიული გასამრჯელო, სადაზღვევო ხარჯები, მშენებლობის ზედნადები ხარჯი, ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯის განაწილება და სხვა შესაბამისი დანახარჯები;
- (ე) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

3.6.2. შეფასება

ჯგუფი მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულების თანხით.

3.6.3. თვითღირებულების ფორმულა

ჯგუფი მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს (FIFO) მეთოდს.

3.6.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში ჯგუფი მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.6.5. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს მარაგების აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.7. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.7.1. აღიარება

ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.7.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს გარიგების ფასით.

3.7.3. გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.7.4. აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.8. საკუთარი კაპიტალი

3.8.1. ჯგუფი საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს ჯგუფის მესაკუთრის მიერ ჯგუფში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნება ჯგუფის მომგებიანი საქმიანობებიდან და ჯგუფში დარჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რასაც განაპირობებს არამომგებიანი ოპერაციები და მესაკუთრეებზე განხორციელებული განაწილებები.

3.8.2. საწესდებო კაპიტალი - ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიების წესდებით. კომპანიების წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.9. სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები / ვალდებულებები

3.9.1. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

3.9.2. სავაჭრო ვალდებულებები - სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაწილდება ჯგუფის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

3.9.3. ჯგუფში მშობელ საწარმოს გაცემული აქვს უპროცენტო (დამფუძნებლის) სესხი შვილობილ კომპანიაზე და სესხი რეზიდენტ საწარმოზე;

მშობელ საწარმოს გააჩნია მისაღები პროცენტები რეზიდენტი საწარმოებიდან.

3.9.4. მშობელ საწარმოს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის არ გააჩნია მიღებული სესხები; შვილობილ საწარმოს გააჩნია მიღებული სესხები - საბანკო სესხი (გრძელვადიანი ვალდებულება), დამფუძნებლისგან მიღებული უპროცენტო სესხი (მოკლევადიანი ვალდებულება).

3.9.5. ვადაგადაცილებული დავალიანება ჯგუფს არ ერიცხება.

3.10. ამონაგები

3.10.1. აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) ჯგუფი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს. შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

(ფართობის რეალიზაციისას ამონაგების აღიარება ხდება: საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიხედვით, ანუ საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი, და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია).

ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

3.10.2. ამონაგების შეფასება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიების მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

3.11. ხარჯების აღიარება

ხარჯები არის ჯგუფის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ჯგუფის საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა აკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც კომპანიები იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

3.12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.13. დივიდენდები

3.13.1. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

3.13.2. მშობელ საწარმოში 2024 წლის საანგარიშებო პერიოდში გაცემულია დივიდენდები 2023 წლის შედეგების მიხედვით 159 867 ლარის ოდენობით.

3.14. გადასახადები

3.14.1. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიებში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

3.14.2. დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, ასევე საქონლის მიწოდებამდე ან/და მომსახურების გაწევამდე ანაზღაურებული თანხა (ავანსი), რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიებს წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელებისთვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

3.14.3. - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ჯგუფი ლიკვიდაციას ან მისი საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას არ გეგმავს.

5. შემოსავალი

		2024	2023
		ლარი	ლარი
<i>საოპერაციო შემოსავალი</i>			
1	საცხოვრებელი და არასაცხ. ფართების რეალიზაცია	752 761	2 493 690
2	მომსახურების გაწევა (საიჯარო შემოსავალი)	20 958	26 133
3	სამშენებლო ხელშეკრულებები	14 238 263	1 666 625
4	ა/მ რეალიზაცია	-	65 000
<i>სულ საოპერაციო შემოსავალი</i>		<i>15 011 982</i>	<i>4 251 448</i>
<i>არასაოპერაციო შემოსავალი</i>		-	-

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2024 და 2023 წელს გაყიდული საქონლის (ფართების) თვითღირებულება (მარაგების ჩამოწერა) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
რეალიზებული ფართების თვითღირებულება	-317 465	-1 003 534
სამშენებლო ხელშეკრ. თვითღირებულება	-11 781 759	-2 052 933
ა/მ თვითღირებულება	-	--61 329
რეალიზებული მასალების თვითღირებულება	-14 011	-
ს უ ლ :	-12 113 235	-3 117 796

7. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	466 498	354 219
საპროცენტო შემოსავალი (ბანკის)	449 557	26 277
საპროცენტო შემოსავალი (გაცემულ სესხზე, გარანტ. საკომის.)	122 226	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2 548	59 367
ფინანსური შემოსავალი	1 040 829	439 863
საპროცენტო ხარჯები	876 072	579 516
უარყოფითი საკურსო სხვაობა	841 881	399 980
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	33 076	200 800
ფინანსური ხარჯები	1 751 029	1 180 296

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
1 ხელფასის ხარჯი	663 696	406 928
სატრანსპორტო ხარჯები	1 650	-
2 დაზღვევა	19 139	6 595
3 ბანკის საკომისიო	11 099	13 041
4 საკანცელარიო ხარჯი	2 255	2 980
5 საპენსიო შენატანი დამსაქმებლის	12 479	7 927
6 სხვადასხვა ადმინ. ხარჯები	788	10 575
7 საგადასახადო ხარჯი	12 221	11 032
8 ცვეთა	212 649	192 077
9 სხვადასხვა მიწოდების და საერთო ხარჯები	9 244	118 796
10 საწვავი	40 670	9 876
11 იჯარა	6 102	-
12 საკომუნიკაციო, კომუნალურები	18 792	2 816
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1 010 784	682 642

9. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მზა პროდუქციის მარაგები	7 327 538	5 187 700
	329 113	
სულ მარაგები	7 656 651	5 187 700

10. ცვეთა და ამორტიზაცია

	2024	2023
	ლარი	ლარი
სატრანსპ. საშ. ცვეთა	100 448	77 955
მანქანა დანადგარების ცვეთა	109 610	111 224
შენობის ფართი (ოფისი) - ცვეთა	1 530	1 610
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	519	1 288
საკომუნიკაციო ძირ.საშ. ცვეთა	542	
სულ ხარჯი	212 649	192 077

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა- ნაგებობა	მანქ- დანადგარ ები, ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრ.საშუალ ებები	სამშ. ინვენტარი	არამატ. აქტივები	ს ლ
ისტორიული ღირებულება								
31.12.2022	2461	33898	696350	13660	214642	172756	0	1133767
შეძენა			65076	0	546773	3921		615770
გასვლა	-2461		0	0	-76662	-8437		-87560
31.12.2023	0	33898	761426	13660	684753	168240	0	1661977
შეძენა		0	78971		13992	84928		177891
გასვლა						-95562		-95562
31.12.2024		33898	828860	13660	698745	157606	0	1732769
დაგროვებულ ი ცვეთა								
31.12.2022	0	-1695	-151550	-9591	-134815	0	0	-297651
ცვეთის ხარჯი	0	-1610	-111902	-610	-77955	0		-192077
გაყიდული ქონების ცვეთა			0		22096			22096
31.12.2023	0	-3305	-263452	-10201	-190674	0	0	-467632
ცვეთის ხარჯი	0	-1530	-110152	-519	-100448	0		-212649
ქონების ცვეთის კორექტირება			2090					2090
31.12.2024	0	-4835	-371514	-10720	-291122	0	0	-678191
საბალანსო ღირებულება								
31.12.2023	0	30593	497974	3459	494079	168240	0	1194345
31.12.2024	0	29063	457346	2940	407623	157606	0	1054578

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ძირითადი საქმიანობიდან (სავაჭრო მოთხოვნები)	482 992	163 099
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4 035 580	2 573 053
მოთხოვნები ხელმძღვანელი, ანგ.ვალდ. პირების მიმართ	1 999	-
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	1 813 035	1 813 035
ჯამი	6 333 606	4 549 187

13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-12-24	31-12-23
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	112 235	87 160
ფული საბანკო ანგარიშზე	5 053 230	9 017 308
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5 165 465	9 104 468

14. სარეზერვო კაპიტალი

	31-12-24	31-12-23
	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	163 093	176 983
სხავდასხვა რეზერვები და დაფინანსება		
სარეზერვო კაპიტალი	163 093	176 983

15. სესხები და კრედიტები

გაცემული სესხები (მშობელი საწარმოსგან)	31-12-24		31-12-23	
	ევ. - ლარი	აშშ დოლარი	ევ. - ლარი	აშშ დოლარი
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნა (უპროცენტო დამფუძნებლის სესხი შვილობილ საწარმოს)	320 000		83 000	
მშობელი საწარმოს გაცემული სესხი რეზიდ. საწარმოზე	2 235 000		-	
	2 555 000		83 000	
მიღებული სესხები (შვილობილი საწარმოსი)	31-12-24		31-12-23	
	ევ. - ლარი	აშშ დოლარი	ევ. - ლარი	აშშ დოლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (ფინანსური ინსტიტ. - ბანკიდან)	9 274 436	/ \$3 304 274 /	6 197 116	/ \$1 254 275 /
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება - დამფუძნებლიდან უპროცენტო სესხი	320 000		83 000	
მოკლევადიანი სესხი რეზიდენტი ფიზიკური პირისგან (წლიური 15%)	-		10 000	
	9 594 436		6 290 116	

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23
	ლარი	ლარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	12 603 824	14 413 599
საგადასახადო ვალდებულებები	154 032	0
სხვა ვალდებულებები (ანგარიშვალდებული პირები)	25 177	2 948
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12 783 033	14 416 547

17. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფს არ ყავს მეკავშირე საწარმოები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

18. სოციალური პასუხისმგებლობა


"ჯგუფის" მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ხარისხი და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა.

"ჯგუფის" გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიების პერსონალის მიმართ.

"ჯგუფი" თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ "ჯგუფის" ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას უსაფრთხოება წარმოადგენს.

შპს "ენენ ჯგუფის" (205 177 556)
დირექტორი
მთ. ბუღალტერი



გ. მანჯაფარაშვილი
ნ. სვანიძე